



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა კაცაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

- ბ) დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) სოფიო თავაძე (ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219634714

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ტყიბულის მუნიციპალიტეტი სოფელი მუხურა
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი მუხურა
საფოსტო ინდექსი	4300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/ - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Mukhura@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577959781

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 10 თებერვლის ბრძანება №139326
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30 და 31 მარტი 2026 წელი



IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	სოფელ მუხურის საჯარო სკოლა 2 ძირითადი შენობა: 1. სკოლის ძირითადი შენობა. 2. სპორტ დარბაზი.
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	სოფელ მუხურის საჯარო სკოლა 2 ძირითადი შენობა: 1. სკოლის ძირითადი შენობა. 2. სპორტ დარბაზი.
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	სოფელ მუხურის საჯარო სკოლა 2 ძირითადი შენობა: 1. სკოლის ძირითადი შენობა. 2. სპორტ დარბაზი.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლაში ვიზიტი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, გადავიგზავნეთ ადგილზე გადაღებული ფოტო მასალა, რომელიც კარგად ასახავდა სკოლის საბუნებისმეტყველო კაბინეტების, ლაბორატორიების, საწირო რესურსების მდგომარეობას. საგნობრივმა ექსპერტმა შეისწავლა ეს მასალა და შემდეგ გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საუკეთესო გამოცდილებად სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა **ინკლუზიური განვითარების სწავლა/სწავლების პრინციპები** და მნიშვნელობა, რომელიც იყო სკოლის მიერ განვლილი გზის შეჯამება, რომელიც ასახავს, თუ როგორ გარდაიქმნა სასწავლო გარემო ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ სივრცედ.

სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის, საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მონაწილეობით იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც



დეტალურად გაწერილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი, მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრული შესაბამისი პროფესიონალი სპეციალური პედაგოგი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართულ პრაქტიკულ აქტივობებს. ვიზიტის დროს ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან ინტერვიუ. ინტერვიუს დროს რესპოდენტმა გამოამჟღავნა არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება, ასევე აღწერა მრავალფეროვანი აქტივობები, რასაც ის გეგმავს და ახორციელებს. ისე ემოციურად საუბრობდა მოსწავლეზე, რომ ფაქტია სკოლის მიდგომა სსსმ მოსწავლის მხარდამჭერის მიმართულებით გამართულად მუშაობს. სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად. სკოლის სასკოლო - სასწავლო გეგმით რეგულირდება მოსწავლეთა, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რეგულაციები, საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად სკოლაში არსებული დამხმარე სერვისების შესახებ. ინკლუზიური განათლების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით.

განხორციელებული სტრატეგიები და მეთოდოლოგია--კონკრეტული ნაბიჯები, რამაც წარმატება განაპირობა:

დიფერენცირებული სწავლება, როგორ მოხდა კურიკულუმის მორგება ინდივიდუალურ საჭიროებებზე--ვიზუალური ხელოვნების, მუსიკისა და ტექნოლოგიების ინტეგრირება. მულტიდისციპლინური გუნდი--მასწავლებლებისა და სპეც-მასწავლებლის კოორდინირებული მუშაობა. თანატოლთა მხარდაჭერა: "მეგობრობის წრეების" ან ჯგუფური პროექტების შექმნა, სადაც აქცენტი კეთდება ემპათიასა და თანამშრომლობაზე. კეთებით სწავლება ინკლუზიური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა. როდესაც მოსწავლე თავად ქმნის რესურსს, თეორიული ცოდნა პრაქტიკულ უნარად გარდაიქმნება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. დიდაქტიკური რესურსების ერთობლივი შექმნა----ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლემ მიიღოს მზა მასალა, პროცესი ისე დაიგეგმეთ, რომ მან თავად მიიღოს მონაწილეობა მის დამზადებაში: ვიზუალური ბარათები და სქემები--- მოსწავლეები თავად ხატავენ ან ჭრიან ფერადი ქაღალდებისგან „წესების კედელს“ ან „დღის განრიგს“. ეს ეხმარება მათ სტრუქტურის უკეთ აღქმაში. სენსორული რესურსები: სხვადასხვა ფაქტურის მასალისგან (ქსოვილი, ქვიშა, მარცვლეული) ასოების ან ციფრების გამოძერწვა/აწყობა. ეს ავითარებს ნატიფ მოტორიკას და ხელს უწყობს დამახსოვრებას შეხების გზით.

მიღწეული შედეგები და გავლენა--აკადემიური და სოციალური პროგრესი: მოსწავლეთა თვითრწმენის ამაღლება და მოტორული თუ კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესება. სკოლის კულტურა: სასკოლო საზოგადოების ცნობიერების



ამაღლება და სტერეოტიპების მსხვერვა. რესურსების შექმნა: ადაპტირებული სამუშაო რვეულები, ციფრული მასალები ან შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენები.

სკოლაში მიმდინარე პროცესი საშუალებას აძლევს ყველა მოსწავლეს (მათ შორის სსსმ პირებს), ჩაერთოს საკუთარი ტემპითა და უნარებით, რაც ზრდის მათ თვითრწმენას. სოციალური ინტეგრაცია: რესურსების ერთობლივი შექმნა აუმჯობესებს კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას და ხელს უწყობს თანასწორი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. მდგრადი შედეგი: საკუთარი ხელით შექმნილი პროდუქტი (იქნება ეს მაკეტი, ნახატი თუ ციფრული ფაილი) ბევრად უფრო მყარ და ხანგრძლივ ცოდნას ტოვებს, ვიდრე პასიური სწავლება.

დასკვნის სახით, ეს მიდგომა სასწავლო პროცესს ბარიერების დაძლევისა და შემოქმედებითი თავისუფლების ინსტრუმენტად აქცევს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება



	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



<p>კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

		<p style="text-align: center;">აღწერა</p> <p><i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i></p>
--	--	---



მოსწავლეთა რაოდენობა: ---120-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/>	სკოლას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა იყო 120 მოსწავლეზე. აღნიშნულს ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება. ინვენტარიზაციის კომისიის 01.12.2025 წლის ოქმის N2-16 საფუძველზე
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება <input type="checkbox"/>	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი



<i>ინდიკატორი N</i>		

<i>სტანდარტი N2</i>	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	<i>ხარვეზი</i>
<i>ინდიკატორი N</i>		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

<i>სტანდარტი N1</i>	სკოლის ფილოსოფია	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		
<i>სტანდარტი N3</i>	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



<p>3.1.2.4</p>	<p>პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს</p>	<p>რადგან, 2025-2026 სასწავლო წელს, სკოლას ჰყავს ორი პრაქტიკოსი მასწავლებელი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.06.26-15.09..26) აიყვანოს კვალიფიცირებული კადრი.</p>
<p>3.4.1.1</p>	<p>სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა</p>	<p>ა. რადგან სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა.</p> <p>ბ. რადგან სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლას მიეცა რეკომენდაცია: გაგზავნოს წერილი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან, ;</p> <p>გ) სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხები მოგვაროს, მოამზადოს შესაბამისობის პროექტი, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში და მოიპოვოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა 01.02.2026-01.02.2028</p>
<p>3.5.1</p>	<p>სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ</p>	<p>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოაგვაროს საჯარო რეესტრის დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში.</p>



	ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
3..5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლაში არსებული ყველა სივრცე იყოს ადაპტირებული ეტლით მოსარგებლედ სსსმ მოსწავლეებისათვის. შენობაში დამონტაჟდეს ლიფტი/შიდა პანდუსი, რაც დაგეგმილი აქვს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 01.02.2026-01.02.2028
<i>სტანდარტი N4</i>	<i>მოსწავლეთა მხარდაჭერა</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		

<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		
2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	2025-2026 სასწ. წელს, დაწყებით საფეხურზე, სპორტსა და მე და საზოგადოებას, ასწავლის პრაქტიკოსი მასწავლებელი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში გამოაცხადოს ვაკანსია და აიყვანოს ამ ორი საგნის კვალიფიცირებული სპეციალისტი. <i>პერიოდი: 20.06.2026- 20.09.2026</i>
<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>



	<i>საბაზო საფეხური</i>	
<i>ინდიკატორი N...</i>		
<i>2.2.2.3</i>	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, აღჭურვის აუცილებელი რესურსებით, რაც სკოლას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით. პერიოდი - 20.04.2026-20.04.2027
<i>2.2.2.4</i>	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოაცხადოს ვაკანსია და შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში აიყვანოს კვალიფიცირებული სპეციალისტები
<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		
<i>2.2.2.3</i>	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, აღჭურვის აუცილებელი რესურსებით, რაც სკოლას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით. პერიოდი - 20.04.2026-20.04.2027
<i>2.2.2.4</i>	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოაცხადოს ვაკანსია და შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში აიყვანოს კვალიფიცირებული სპეციალისტები



	განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	
--	--	--

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი	რჩევა
ინდიკატორი N...		
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	ბუნებისმეტყველება ბუნებისმეტყველების კურიკულუმის შემუშავებისას გასათვალისწინებელი, რომ ყველა თემა ემთხვეოდეს სტანდარტით



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	განსაზღვრულს. სასურველია, კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი მეტი შუალედური დავალება. სასურველია დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს შუალედური დავალების პირობები
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	<p><u>სახელმწიფო ენა</u> <u>რჩევები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, საკითხების გრაფის სათაურში სიტყვა კლასტერი არ ჩაიწეროს, ქართულში საკითხი საკმარისია; • სასურველია, ის, რაც წერია საკითხებში, კონტექსტმაგალითებში გადავიდეს და გრაფას დაეწეროს ტექსტები და კონტექსტმაგალითები; საკითხების გრაფაში კი ჩაიწეროს დავალების დასახელება, ანუ საკითხი, რასაც ეხება დავალება, მაგ., პერსონაჟის წერილის დაწერა, ამბის შეთხზვა და მისთ. • სასურველია, შემოქმედებითი დავალების გრაფაში დავალების პირობა ჩაიწეროს შეფასების კრიტერიუმებამდე, ზუსტად ისე, როგორც ვუბნებით მოსწავლეს, მაგ., მოიფიქრე და წერილობით გადმოეცი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ზღაპრების მწერალი ბიჭუნა, რომელსაც წერა-კითხვა არ უყვარდა. • ცნებების გრაფაში ქვესაკითხების მითითება აუცილებელი აღარაა.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	<p><u>მათემატიკა</u> <u>რჩევა:</u> სასურველია, ზოგიერთი კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა. რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. (მაგ: მე-6 კლასი. თემა რიცხვები; მოქმედებები რიცხვებზე...)</p>
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	<p><u>სპორტი:</u> <u>რჩევა:</u></p>



	<p>ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას</p>	<p>სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც;</p>
<p>ინდიკატორი N... 2.1.2..2</p>	<p>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს</p>	<p>დაწყებითი საფეხურის ექსპერტი რჩევა: სახელმწიფო ენის მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმების შემუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ რიგით მეოთხე სვეტის ქუდში კონტექსტმაგალითების ნაცვლად ეწეროს - „ტექსტი/ტექსტები“, შემდეგ კი აღნიშნულ სვეტში პედაგოგებს შეეძლებათ დაახარისხოთ შესასწავლი ძირითადი და დამხმარე ტექტები; აღნიშნულ კლასებში საკითხების გრაფაში არაა სასურველი ჩამოიწეროს შესასწავლ ტექსტებს, ამ ველში საკითხი მხოლოდ მაშინ იწერება, როდესაც შემოქმედებითი ბუნების დავალებაა წარმოდგენილი (მაგ.: თუ დავალების პირობაა მოსწავლემ შექმნას შესწავლილი იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი, საკითხი იქნება- იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი). რჩევა: საგანში ბუნებისმეტყველება (მე-3 და მე-4 კლ) სახელმძღვანელოში მოცემული საკითხები (პარაგრაფები) სრულად შეესაბამებოდეს საგნობრივი სტანდარტით შემოთავაზებულ თემებს რჩევა: საგანში მათემატიკა მეორე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები, რესურსები კონკრეტული სახელმძღვანელოს გვერდები, შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს.</p>



<p>2.1.2.3</p>	<p>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას</p>	<p><u>ბუნებისმეტყველება</u> <u>რჩევა:</u> კურიკულუმში ჩაშენდეს ვირტუალური ლაბორატორიიდან დავალებები; კურიკულუმში აისახოს ინტერვიუს დროს აღწერილი მარტივი ექსპერიმენტები, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს ლაბორატორიულ რესურსს.</p>
<p>2.1.2.5</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს</p>	<p><u>დაწყებითი საფეხურის საგნებისათვის გაიზარდოს ისეთი</u> განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების რაოდენობა, რომლებიც კონკრეტულ (კურიკულუმში წარმოდგენილ) დავალებებზე იქნება მორგებული. კრიტერიუმების შემუშავებისას პედაგოგებმა უფრო მეტად გაითვალისწინონ საგნის სტანდარტში მოცემული გრძელვადიანი მიზნები. კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნისას იხელმძღვანელონ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებით.</p>

<p>სტანდარტი N2</p>	<p>სასკოლო კურიკულუმი <i>საბაზო</i></p>	<p><i>რჩევა</i></p>
<p>ინდიკატორი N... 2.1.2.2</p>	<p>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს</p>	<p><u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> <u>რჩევა:</u> სასურველია კონტექსტმაგალითები შერჩეულ იქნას უფრო დაზუსტებით და კავშირში იყოს საკითხთა კლასტერთან.</p>
<p>2.1.2.3</p>	<p>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,</p>	<p><u>ბუნებისმეტყველება</u> <u>რჩევა:</u></p>



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	კურიკულუმში ჩაშენდეს ვირტუალური ლაბორატორიიდან დავალებები; კურიკულუმში აისახოს ინტერვიუს დროს აღწერილი მარტივი ექსპერიმენტები, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს ლაბორატორიულ რესურსს.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>ბუნებისმეტყველება</u> <u>რჩევა:</u> შეფასების ყველა რუბრიკის შემუშავებისას, კრიტერიუმები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რათა შესაძლებელი იყოს მოსწავლის მიღწევის დონის უფრო ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> <u>რჩევა:</u> სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსებული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>უცხო ენა</u> <u>რჩევა:</u> რეკომენდებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს შეფასების რუბრიკების შემუშავება თემებზე, საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებით, დავალების ტიპისა და



		საფეხურის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა პროგრესის წახალისებისთვის.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	მათემატიკა რჩევა: იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა



	საშუალო	
ინდიკატორი N...		
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>ბუნებისმეტყველება</u> <u>რჩევა:</u> კურიკულუმში ჩაშენდეს ვირტუალური ლაბორატორიიდან დავალებები; კურიკულუმში აისახოს ინტერვიუს დროს აღწერილი მარტივი ექსპერიმენტები, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს ლაბორატორიულ რესურსს.
		<u>მათემატიკა</u> <u>რჩევა:</u> სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებთ. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება კი მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესში. ის უზრუნველყოფს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ, სიღრმისეულ ათვისებას. სასურველია გამოიყენოთ: ისკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra, desmos და სხვა.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> <u>რჩევა:</u> სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს,



		შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდას გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსებული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	მათემატიკა რჩევა: იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	ტექნოლოგიები რჩევა: სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები სასწავლო წლის დაწყებისას საგნობრივი კათედრის ოქმშიც იყოს დანართის სახით წარმოდგენილი.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,	უცხო ენა რჩევა: მიზანშეწონილია მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების შენარჩუნება და მათი პერიოდული განახლება ციფრული თუ ვიზუალური მასალით, ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.



	<p>მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით</p>	
--	--	--

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლის დირექცია, N-508968 (30/04/2026) წერილის პასუხად, გვიდასტურებს, რომ სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნით პროექტს, დაწესებულება იზიარებს მომზადებულ დასკვნას, არ აქვს განსხვავებული შეხედულება, რაც შეეხება იდენტიფიცირებულ ხარვეზებს, რომელიც გამოვლენილ იქნა კომისიის მიერ ვიზიტის პროცესში, დაწესებულებამ წარმოგვიდგინა შესაბამისობის გეგმაში, რომელი გეგმის მიხედვითაც მოხდება სკოლის მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარება.

შესაბამისობის გეგმის მიხედვით:

1. 3.1 - 3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია)

- 2025-2026 სასწავლო წელს, სკოლას ჰყავს ორი პრაქტიკოსი მასწავლებელი, სკოლა გეგმავს:

1. ორი მასწავლებლის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადება;
2. საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნა კანონმდებლობის შესაბამისად;
3. კონკურსის ეტაპების განხორციელება;
4. შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;

ვედბი: /20/2026-9/15/2026

2. 3.4.1----3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-



ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია)

- ა) სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით დასკვნა;
- ბ) სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებული;
- გ) სკოლა არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები მოგვარებული;

• სკოლა გეგმავს:

- ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.
- ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;
- გ) სახანძრო უსაფრთხოების საკითხების მოგვარება;

ვადები: 01.02.2026- 2/1/2028

3. 3.5 კომპონენტი 3.5.1 - 3.5.1.1 ინდიკატორი სკოლას არა აქვს საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი-
 - ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ სკოლამ მოაგვარა ეს საკითხი და აქვს განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი (შესრულდა);
4. 3.5.1.--- 3.5.1.4. სკოლაში არსებული ყველა სივრცე არ არის ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი. (არ არის ლიფტი/შიდა პანდუსი)- (ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია)
 - სკოლა გეგმავს, სკოლაში არსებული ყველა სივრცის ადაპტირება ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის შიდა პანდუსის მოწყობის უზრუნველყოფა;

ვადები: 01.02.2026- 01.02.2028

5. 2.2.2 ----2.2.2.3.ინდიკატორი (საბაზო და საშუალო საფეხური) კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია)
 - სკოლა გეგმავს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სტანდარტში მოყვანას

ვადები: 4/20/2026- 20.04.2027

6. 2.2.2.---- 2.2.2.4 სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, (ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია)

2025-2026 სასწ. წელს, დაწყებით საფეხურზე, სპორტსა და მე და საზოგადოებას, ასწავლის პრაქტიკოსი მასწავლებელი, თუმცა აქვთ ამ საგნების სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება;

- სკოლა გეგმავს ვაკანსიის გამოცხადებას;
ვალები: 6/20/2026-9/15/2026

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია და ხედვა სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. დირექციამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის აღმწერი დოკუმენტაცია მისიის ხედვისა და ღირებულებების რევიზირების პროცესში: სკოლაში განხორციელებული გამოკითხვის ამსახველი დოკუმენტაცია და მათი ანალიზი, SWOT ანალიზი. მისიასა და ხედვაში მკაფიოდაა ასახული სკოლის მიერ შერჩეული და სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული პრიორიტეტული მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. .

ინდიკატორი შესაბამისია;

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; იმისათვის რომ აღასრულონ მისიით მოცემული მთავარი პოსტულატები, სასკოლო საზოგადოება მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობს მოსწავლეთა თავისუფალი, სახემწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული ღირებულებებისადმი სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სკოლის მისია და ხედვა ამკარად განსაზღვრავს სკოლას როგორც უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციოკულტურულ სივრცეს, რადგან მისი მისია და ხედვა ხაზგასმით მიუთითებს, რომ სკოლა მიზნად ისახავს პიროვნული განვითარებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების ხელშეწყობას უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოში. ტოლერანტობა, მულტიკულტურული მიდგომები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული პრაქტიკა ქმნის ისეთ სასკოლო გარემოს, რომელიც მხარს უჭერს არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პიროვნულ განვითარებას. სკოლა ასევე ასახავს



აქტივობებსა და ღონისძიებებს (რაიონულ/ეროვნულ ოლიმპიადებში ჩართულობა, პროექტები, პერსონალის პროფესიული განვითარება), რაც მომავალში კიდევ უფრო გაზრდის სასკოლო საზოგადოების სოციალურულ-კულტურულ ინტეგრაციას. სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად ერთვება რაიონულ თუ ეროვნულ მასშტაბის ოლიმპიადებში, რაც ერთის მხრივ მოსწავლეთა ცოდნისა და აკადემიური მიღწევების აღიარების შესაძლებლობაა, მეორეს მხრივ ეს ემსახურება სკოლის ცნობადობის ზრდას რაიონულ თუ ეროვნულ დონეზე, აღნიშნული დასტურდება სკოლის მოსწავლეთა მიერ დადებულ შედეგებში სხადასხვა ოლიმპიადებზე. ინდიკატორი შესაბამისია; სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა, რაც ჩანს პერმანენტულად ჩატარებული გამოკითხვების ანალიზისას და რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების უზრუნველყოფას. სკოლაში შექმნილია სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემო : სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხის მგებელი პირი, სრულად აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, დაცულია შენობისა თუ სახანძრო უსაფრთხოების ნორმები. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საკუთარი საქმიანობით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის საჭირო და შესაბამისი დახმარების დროულად აღმოჩენას. ყოველივე ზემოთ ხსენებული მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას პიროვნული განვითარებისა. ამდენად, სკოლა საკუთარ სოციუმში ნამდვილად სარგებლობს ავტორიტეტით და წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს ადგილობრივ თემში.

ინდიკატორი შესაბამისია;

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ამ მიმართულებით, დადასტურდა მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიუების დროს. დამრიგებლებმა წარმოადგინეს მშობელთა კრებების ოქმები. ადმინისტრაციამ სამეურვეო საბჭოს ოქმები.

ინდიკატორი შესაბამისია;

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავების პროცესში ხელმისაწვდომი იყო სრულიად სასკოლო საზოგადოებისათვის. ღირებულებებისას გასაუბრებისას ექსპერტებს მოგვეწოდა ინფორმაცია მშობლებთან ჩატარებული შეხვედრების შესახებ. შეხვედრებზე დადასტურდა სასკოლო საზოგადოების მიერ აღნიშნული დოკუმენტების განხილვა, ამდენად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულიად მისაღები და გაზიარებულია. სკოლის საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის მიზნით ძირითადად დამრიგებლები საკუთარი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხვდებიან მშობლებს სადაც ხდება სკოლის მისია ხედვა ღირებულებების მათთვის გაცნობა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაცნობა, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით.

ინდიკატორი შესაბამისია;

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი



.სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებული ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე , განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე, რაც ადასტურებს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. სკოლა ხშირად ატარებს საინფორმაციო კამპანიებს სხვადასხვა მიმართულებით, ესაა ტოლერანტობა, ეკოლოგია, თანასწორობის საჭიროება საზოგადოებაში და სხვა. ეს ყოველივე მოსწვლეთა პრეზენტაციებით და თემატური პლაკატებით მათ მიერ შექმნილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია: **სსიპ – ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლა**. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების შესაბამისი დოკუმენტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლა ფუნქციონარულ მიმართულებაზე ხელმძღვანელობს და ითვალისწინებს კანონმდებლობას რომლის შესაბამისადაც წარმართავს სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი შესაბამისია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა; (2025-2032)
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების სხდომების ოქმები (პირველი ოქმი);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები
- დამრიგებლების მშობელთა კრებების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*



შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. მეთოდოლოგია ეფუძნება თანამონაწილეობით პრინციპს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი) ინტერესებისა და პრიორიტეტების მაქსიმალურ გათვალისწინებას.

ინფორმაციის შეგროვების მრავალგანზომილებიანი პროცესი მოიცავს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას (გამოკითხვები, ინტერვიუები, დოკუმენტების ანალიზი). სწორედ ამ მექანიზმების გამოყენებით, სკოლა ახორციელებს სიტუაციურ ანალიზს (SWOT), რომლის ფარგლებშიც იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღსანიშნავია, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხის შეფასებას, რაც უზრუნველყოფს განვითარების ციკლურობას.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლის სტრატეგიული მიმართულებები თანხვედრაშია სახელმწიფო პოლიტიკასთან და საგანმანათლებლო სტანდარტებთან. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის ინტეგრაციას მისიის, ხედვისა და სტრატეგიული მიზნების საბოლოო ფორმირებაში. გეგმების შემუშავებაში მონაწილეობენ ის პირები, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი ამოცანების შესრულებაზე, რაც ზრდის პროცესის ეფექტიანობას. გარდა ამისა, სკოლას გაწერილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც

ინდიკატორების სისტემური ანალიზის საფუძველზე სტრატეგიული მიზნების შესაძლო კორექტირების საშუალებას იძლევა.
ინდიკატორი შესაბამისია;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი (2025-2032 წწ.) და წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ, ციკლურ დოკუმენტს. გეგმა სრულად ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რაც ქმნის ერთიანი სასკოლო ფილოსოფიის საფუძველს. სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები ლოგიკურ ჯაჭვშია სკოლის მისიასთან, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციური განვითარების თანმიმდევრულობას. დოკუმენტში ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიზნები პასუხობს **SMART** კრიტერიუმებს (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული). თითოეული მიზანი დაშლილია შესაბამის ამოცანებად, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სასკოლო საზოგადოების საჭიროებებთან და SWOT ანალიზის შედეგად გამოკვეთილ მიმართულებებთან.

გეგმის ციკლურობა და მდგრადობა უზრუნველყოფილია პერიოდული გადახედვისა და წლიური მონიტორინგის მექანიზმებით. ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა, რომ სტრატეგიული მიზნების სტრუქტურა არის მკაფიო და მოქნილი, რაც სკოლას საშუალებას აძლევს, მოახდინოს რეაგირება ცვალებად გარემოებაზე ისე, რომ არ დაირღვეს საერთო სტრატეგიული ხაზი. დაგეგმვის კულტურის ხარისხი მიუთითებს სკოლის მზაობაზე, ეფექტურად მართოს გრძელვადიანი განვითარების პროცესები.

ინდიკატორი შესაბამისია;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი) სრულ შესაბამისობაშია დადგენილ კრიტერიუმთან. დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის ეფექტურ მექანიზმს, სადაც სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ტრანსფორმირებულია კონკრეტულ, დროში გაწერილ აქტივობებად.

გეგმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის რელევანტურობას მიმდინარე გამოწვევებთან. თვითშეფასების პროცესში იდენტიფიცირებული საჭიროებები პირდაპირ აისახება სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებში, რაც ადასტურებს დაგეგმვის პროცესის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ხასიათს. გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული შესრულების პერიოდები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესის ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას.

ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა ლოგიკური ჯაჭვი: **სტრატეგიული მიზანი -> სამოქმედო ამოცანა -> კონკრეტული აქტივობა**. აღნიშნული სტრუქტურა იძლევა საშუალებას, რომ სკოლამ



თანმიმდევრულად მიაღწიოს გრძელვადიან პერსპექტივაში დასახულ შედეგებს, ხოლო აქტივობების შინაარსი მიუთითებს მათ რეალისტურობასა და სკოლის რესურსებთან თანხვედრაზე.

ინდიკატორი შესაბამისია;

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის რეალიზების ეფექტურ ინსტრუმენტს. მასში დეტალურად არის გაწერილი ხუთივე სტრატეგიული პრიორიტეტი: სწავლების ხარისხი, უსაფრთხო გარემო, ინკლუზიური განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ინფრასტრუქტურა. თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები და მათი შესრულების პერიოდები 2025-2032 წლების ჭრილში.

დოკუმენტში თითოეული მიზნისთვის ჩამოყალიბებულია **გაზომვადი ინდიკატორები** (მაგალითად: აკადემიური ქულის ზრდა, ბულინგის შემთხვევების სტატისტიკა, ინდივიდუალური გეგმების ხარისხი) და მითითებულია **საჭირო რესურსები**, როგორცაა ტრენინგები, მატერიალური ბაზა და სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი) ჩართულობა.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ გეგმაში გაწერილი აქტივობები და ვადები არის რეალისტური და თანხვედრაშია სკოლის ადამიანურ და ფინანსურ შესაძლებლობებთან. პასუხისმგებლობები განაწილებულია სტრუქტურულ ერთეულებს შორის (დირექტორი, კათედრები, ადმინისტრაცია), რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის ეფექტიანობას. სკოლას ასევე განსაზღვრული აქვს მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც პერიოდულად შეაფასებს გეგმის განხორციელების პროცესს სხვადასხვა ინსტრუმენტის (ანგარიშები, გამოკითხვები, დაკვირვება) გამოყენებით.

ინდიკატორი შესაბამისია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (2025 წ.);
2. სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ. წელი);
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი №2 (04.09.2025) - სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე;

5. დირექტორის ბრძანება №2-12 (13.10.2025) - მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით), რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. მეთოდოლოგია ორიენტირებულია როგორც სასწავლო პროცესის, ისე ადმინისტრაციული საქმიანობისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების რეგულარულ შეფასებაზე. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მონიტორინგი არ არის მხოლოდ ფორმალური პროცესი; ის მოიცავს შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორც კათედრებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ანგარიშები, სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ფინანსური ხარჯვის კონტროლი. აღნიშნული მექანიზმები საშუალებას აძლევს სკოლას, დროულად მოახდინოს იდენტიფიცირება იმ ხარვეზებისა, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას სტრატეგიული მიზნების განხორციელების პროცესში, და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით. ინდიკატორი შესაბამისია;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლა სისტემატურად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რაც მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პერიოდულობას ეფუძნება. პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივობების შესრულების აღრიცხვაზე, არამედ მათი ეფექტიანობის სიღრმისეულ შეფასებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის სისტემაში ინტეგრირებულია უკუკავშირის მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს სკოლას, გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების — მოსაზრებები. დოკუმენტაციის შესწავლისას (მშობელთა კრებისა და საბჭოების ოქმები) იკვეთება, რომ სკოლა ასევე თანამშრომლობს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებასთან და საგანმანათლებლო ადმინისტრაციასთან. მიღებული უკუკავშირი გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და საჭიროების შემთხვევაში, გეგმებში დროული კორექტირებების შესატანად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მრჩეველთა, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების ოქმები

ადასტურებს, რომ სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესი არის გამჭვირვალე და დაფუძნებულია მრავალმხრივ კომუნიკაციაზე.

ინდიკატორი შესაბამისია;

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლაში დანერგილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით“, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ვალდებულებასა და მექანიზმებს. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ ამ ეტაპზე სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შედეგები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ინფორმაციის გაზიარება ხდება პერიოდული შეხვედრების, საბჭოების სხდომებისა და ანგარიშების წარდგენის გზით. სკოლას გააზრებული აქვს საჯაროობის მნიშვნელობა ინსტიტუციური ნდობის გაძლიერებისთვის და სამომავლოდ გეგმავს ამ პროცესის კიდევ უფრო მეტად გაფართოებასა და გაციფრულებას, რათა შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს უფრო ფართო დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორი შესაბამისია;

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლაში ჩამოყალიბებულია მონაცემებზე დაფუძნებული მართვის კულტურა, რაც გულისხმობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას შემდგომი განვითარებისთვის. მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს საფუძველს სამომავლო გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის უწყვეტ გაუმჯობესებას. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლა ახდენს წარმატებული ღონისძიებების იდენტიფიცირებას და მათ გაგრძელებას, ხოლო იმ მიმართულებებით, სადაც ხარვეზები ვლინდება, გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს. შეფასების შედეგები პირდაპირ გავლენას ახდენს რესურსების (როგორც ფინანსური, ისე ადამიანური) ეფექტურ გადანაწილებაზე, სასწავლო პროცესის მოდიფიცირებასა და ადმინისტრაციული პრაქტიკის დახვეწაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების — უკუკავშირის ინტეგრირება დაგეგმვის ახალ ციკლში, რაც უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული მიზნების



რელევანტურობას რეალურ საჭიროებებთან. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა არის სწავლობადი ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე.

ინდიკატორი შესაბამისია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (2025 წ.);
2. სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ. წელი);

შეფასება:

- o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება**
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული



სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი (ბრძანება N2-03, 16.01.2026), სადაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულთა თანამდებობები და თანამდებობრივი ინსტრუქციები. დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი(2), დარაჯი(2), სპეციალური მასწავლებელი(1), სპეციალური მასწავლებლის ასისტენტები(2), მასწავლებელთა გუნდი (23). აღნიშნული პირების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი. ასევე, შემუშავებულია დაწესებულების სტრუქტურის ორგანიგრამა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართებას და იერარქიას. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და ადმინისტრაციული მოწყობა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და შიდა რეგულაციებს. სკოლაში ფუნქციონირებს ყველა საჭირო სტრუქტურული ერთეული: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები და მრჩეველთა საბჭო. აღნიშნული ერთეულების საქმიანობა და მათ შორის კოორდინაციის მექანიზმები რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სკოლის წესდების“ მოთხოვნათა შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სკოლის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თითოეული თანამშრომლისათვის მკაფიოდაა განსაზღვრული ფუნქციები, უფლება-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები. შიდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება და პერსონალის უფლება-მოვალეობების დიფერენცირება ხელს უწყობს სკოლის მართვის პროცესის ეფექტიანობასა და დასახული მიზნების თანმიმდევრულ განხორციელებას. ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში არსებული ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებას, რაც ქმნის მყარ საფუძველს საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ეფუძნება მყარ სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“, კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს. სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალს შორის მოვალეობების დიფერენცირება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან და გამჭვირვალე მართვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის (პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ.) და პერსონალისთვის (მაგალითად, ბიბლიოთეკარი) შემუშავებულია შესაბამისი დებულებები და სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული დოკუმენტები,



თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან ერთად, ქმნის ვალდებულებების შესრულების მკაფიო სისტემას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლაში არსებული რეგულაციები, რომლებიც მიმართულია უსაფრთხო და მზრუნველი გარემოს შექმნისკენ. წარმოდგენილია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც დეტალურად არეგულირებს პირველადი დახმარების გაწევის პროცედურებს, ასევე „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. ადმინისტრაციული და ფუნქციური მოვალეობების ასეთი სისტემური გადანაწილება ხელს უწყობს სკოლის გამართულ მუშაობას, პასუხისმგებლობების მკაფიო იდენტიფიცირებას და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დისციპლინური სხდომის ოქმი;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სკოლის სტრუქტურა;
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - ერთ წლიანი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- პედსაბჭოს ოქმი და ერთ წლიანი სამუშაო გეგმა;
- მრჩეველთა საბჭოს წევრების ცვლილების ბრძანება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი წლის დასაწყისში, (2025 წ)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



5. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რაც დასტურდება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის არსებობით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის სტრატეგიულ ხედვას პერსონალის მართვის მიმართულებით და უზრუნველყოფს პროცესების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. ჯგუფის საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებასა და მასწავლებლების მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ სკოლა ზრუნავს არა მხოლოდ პედაგოგიური პერსონალის, არამედ სხვა თანამშრომლების განვითარებაზეც. მათი საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მრავალმხრივი მიდგომით, რაც გულისხმობს შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვებასა და თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას. პერსონალის მართვის ასეთი პოლიტიკა ქმნის მყარ საფუძველს სკოლის ინსტიტუციური განვითარებისთვის, რამდენადაც იგი მიმართულია ადამიანური კაპიტალის გაძლიერებასა და სამუშაო პროცესების ეფექტიანობის ზრდაზე. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის მართვის გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია თანამშრომელთა საჭიროებების წინასწარ იდენტიფიცირებასა და მათზე დროულ რეაგირებაზე. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი ის ამოცანები, რომლებიც სკოლას ეხმარება პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზში (SWOT ანალიზის პრინციპით). სკოლა აქტიურად აფასებს იმ პოტენციურ საფრთხეებსა და ზეგავლენებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს თანამშრომელთა პროდუქტიულობასა და სასკოლო კლიმატზე. პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები თანამშრომელთა განვითარებისთვის. სკოლის მიდგომა ეფუძნება პერსონალის ინტერესების გათვალისწინებასა და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას, რაც პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობაზე. პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების არსებობა უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესის მდგრადობასა და მოქნილობას.



7. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

სკოლაში კადრების შერჩევისა და მიღების პროცესი გამჭვირვალეა და სრულად შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს. ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების („მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“) საფუძველზე.

პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სამართლებრივად მოწესრიგებულია. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებთან გაფორმებულ დოკუმენტაციაში ასახულია სტატუსის შესაბამისი დამატებითი მოთხოვნები, რაც ხაზს უსვამს სკოლის პასუხისმგებლობას პროფესიული სტანდარტების დაცვის მიმართ. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა ზედმიწევნით იცავს პერსონალის მიღებისა და შრომითი ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებს. სკოლას მოწესრიგებული აქვს ყველა მასწავლებლის და მოსწავლის პირადი საქმეები. მასწავლებლებს პირად საქმეში უდევთ კანონის მიხედვით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ცნობები და სერთიფიკატები. მოსწავლთა პირადი საქმეებიც სრულად იყო მოწესრიგებული.

8. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის ადამიანური რესურსი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების სტაბილურობას. პერსონალის შერჩევა და დასაქმება ხორციელდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. დაწესებულების მიერ დადგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები - აქედან გამომდინარე სკოლას აქვს დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის პერსონალისთვის.

სკოლაში დასაქმებული 33 თანამშრომლიდან, ადმინისტრაციულ პერსონალს წარმოადგენს 4 პირი, რომლებიც პარალელურად ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას. პედაგოგიური კორპუსი ჯამში 26 მასწავლებლისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ჯერ კიდევ საქმიანობს 2 პრაქტიკოსი მასწავლებელი, რის გამოც დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია მათი სტატუსის ამაღლების ან მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადები და მექანიზმები. სკოლამ ორჯერ გამოაცხადა კონკურსი და ორივეჯერ ჩაიშალა, რადგან საკონკურსო განაცხადების წარდგენის მიუხედავად, მაღალმთიან სოფელში დასაქმების მსურველი არ აღმოჩნდა.

გარდა პედაგოგიური პერსონალისა, სკოლა უზრუნველყოფილია დამხმარე ტექნიკური პერსონალით, რაც აუცილებელია სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისთვის. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექთანი,



ცეცხლფარეში, ორი დარაჯი და ორი დამლაგებელი. მათი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით.

ამრიგად, პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს, ხოლო არსებული მცირე შეუსაბამობა (პრაქტიკოსი მასწავლებლები) მართვადია სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ფარგლებში. **დასკვნა: აღნიშნული კრიტერიუმი მეტწილად შესაბამისობაშია ინდიკატორის**

9. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში ჩამოყალიბებული ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია თანამშრომლობით გარემოზე, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეფუძნება მონაწილეობითობის პრინციპს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სტრატეგიული თუ ოპერატიული დოკუმენტების შემუშავება არ ხდება იზოლირებულად; მასში აქტიურად არიან ჩართულნი საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები. გუნდური მუშაობის ეფექტიანობა დასტურდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შეხვედრების ოქმებით, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობა საერთო მიზნების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მონაწილეობითი მართვა სკოლას საშუალებას აძლევს, უკეთ მოახდინოს რესურსების კონსოლიდაცია და გაზარდოს თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა სასწავლო პროცესის ხარისხზე.

წარმოდგენილი მასალების ანალიზი და პირველადი ავტორიზაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება დემოკრატიული პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი და პროდუქტიული სამუშაო გარემოს შენარჩუნებას.

10. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში დანერგილია პერსონალის მოტივირებისა და აღიარების სისტემა, რაც სამართლებრივად გამყარებულია სკოლის შინაგანაწესით. დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა წახალისების სხვადასხვა ფორმა, როგორცაა: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი და ერთჯერადი ფულადი პრემია. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის პრაქტიკა, რომელიც მასწავლებელთა შრომისუნარიანობის ამაღლებისა და მხარდაჭერის მიზნით, სიმბოლური პრემიის სახით ფიქსირებული თანხის გაცემას გულისხმობს. ეს მიდგომა მიუთითებს სკოლის ადმინისტრაციის კეთილგანწყობაზე სასკოლო საზოგადოების მიმართ და ემსახურება პოზიტიური სამუშაო გარემოს შენარჩუნებას. სკოლის სპეც მასწავლებელი ატარებს სასკოლო კონფერენციებს და წარმატებულ პრაქტიკას უზიარებს, როგორც სკოლის თანამშრომლებს ასევე, სხვა სკოლიდან მოწვეულ პედაგოგებს. წარმატებული გამოცდილების აღიარების მსგავსი მექანიზმები ხელს უწყობს პერსონალის ლოიალობის ზრდას და სტიმულს აძლევს მათ, უფრო ეფექტურად ჩაერთონ საგანმანათლებლო



საქმიანობაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი აქტივობები მიმართულია თანამშრომელთა ღვაწლის დაფასებისკენ, რაც ორგანიზაციული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- ერთლიანი სამოქმედო გეგმა;
- პერსონალისპირადი სააქმეები;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები; •
- სპეციალური მასწავლებლის აყვანის კომისიის ოქმი;

შეფასება:

- o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები



სკოლაში პერსონალის განვითარების პროცესი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რაც ასახულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებისა და მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების კონკრეტული მექანიზმები. ამ მიმართულებით სკოლის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ხარისხის ჯგუფის შექმნა. აღნიშნული ჯგუფის ფუნქციაში შედის სასწავლო პროცესზე რეგულარული დაკვირვება და მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს პედაგოგთა ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურ გამოვლენას, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება მათთვის ინდივიდუალური მხარდაჭერისა და განვითარების გეგმების შემუშავებას.

ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგი და რეგულარული უკუკავშირი ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ პასუხისმგებლობის ზრდას. შეფასების სისტემური ხასიათი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, ადამიანური რესურსების განვითარება წარმართოს თანმიმდევრულად, სკოლის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად
სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი ეფუძნება პრაქტიკული დაკვირვებისა და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრების შემდგომ, მასწავლებლები იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც საშუალებას იძლევა ინდივიდუალურად განისაზღვროს თითოეული პედაგოგის პროფესიული საჭიროებები.

აღსანიშნავია, რომ სკოლა და მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სადიაგნოსტიკო თუ პროფესიული კომპეტენციის ასამაღლებელ ტრენინგ-კურსებში. პერსონალის მზაობა მუდმივი განვითარებისთვის დასტურდება მათ მიერ მოპოვებული შესაბამისი სერტიფიკატებითა და პროფესიული აქტივობებით. საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების ეს მიდგომა უზრუნველყოფს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას მიზნობრივად, რაც პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების ხარისხსა და სკოლის საერთო განვითარების დინამიკაზე. წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა ზრდას და ქმნის პირობებს მათი პროფესიული წინსვლისთვის.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალის მხარდაჭერისა და მოტივირების სისტემა, რომელიც მიმართულია თანამშრომელთა კარიერული წინსვლისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობისკენ. დაწესებულება აქტიურად ზრუნავს პედაგოგთა ინფორმირებულობაზე, რაც გამოიხატება მათთვის სხვადასხვა ტრენინგ-კურსების, მოსამზადებელი პროგრამებისა და პროფესიული სიახლეების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულ მიწოდებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში. ადმინისტრაცია მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს იმ პედაგოგებს, რომელთაც სურთ კარიერული წინსვლა (სტატუსის ამაღლება), რაც სასკოლო საზოგადოების



პროფესიული განვითარების ერთგვარი სტიმულია. აღსანიშნავია სკოლის სამომავლო ხედვაც არაპედაგოგიურ პერსონალთან მიმართებით, რაც გულისხმობს მათი საჭიროებების სიღრმისეულ დადგენასა და შესაბამისი ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვას. კარიერული ზრდის ასეთი ორგანიზებული მხარდაჭერა ხელს უწყობს სკოლაში კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის სტაბილურ ზრდას

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში ახალი კადრების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესი სისტემურად არის მოწესრიგებული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს „თანამშრომელთა ადაპტაციის წესი“, სადაც დეტალურად არის გაწერილი ახალი თანამშრომლის მიღების ეტაპები და ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები.

ინტეგრაციის პროცესი იწყება ჯერ კიდევ ხელშეკრულების გაფორმებამდე; პერსონალი წინასწარ ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს თანამშრომლის ღირებულებით თანხვედრას სკოლის მიზნებთან, რაც გულისხმობს ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას მოსწავლეთა წარმატებისთვის.

სკოლის კულტურა ორიენტირებულია ტოლერანტობაზე, თანასწორობასა და მხარდაჭერაზე. მისიაში დეკლარირებული პრინციპები პრაქტიკულად გამოიხატება ადმინისტრაციის მუდმივ მზაობაში, ხელი შეუწყოს პერსონალის პროფესიულ და კარიერულ ზრდას. მსგავსი ორგანიზაციული მიდგომა ამცირებს ახალი თანამშრომლებისთვის დამახასიათებელ სტრესს და ქმნის მყარ საფუძველს მათი ეფექტიანი საქმიანობისთვის.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონალის პროფესიული ინიციატივების მხარდაჭერასა და აღიარებას. წახალისების ფორმები და შესაბამისი პროცედურები სამართლებრივად გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რაც პროცესს გამჭვირვალესა და პროგნოზირებადს ხდის. სკოლის ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს პოზიტიური უკუკავშირის როლი თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებაში, რაც გამოიხატება როგორც მატერიალური (ერთჯერადი ფულადი დანამატი), ისე მორალური (მადლობის წერილი) სტიმულირების მექანიზმების გამოყენებაში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში მოქმედებს ინფორმაციის გაზიარების ეფექტური შიდა საკომუნიკაციო არხები (დახურული ჯგუფები), სადაც პედაგოგები ოპერატიულად იღებენ ინფორმაციას სიახლეების, კონკურსებისა თუ ტრენინგების შესახებ. ადმინისტრაციის მხრიდან მსგავსი ინიციატივების წახალისება ქმნის ნდობაზე დაფუძნებულ გარემოს, სადაც თითოეული თანამშრომელი გრძნობს მხარდაჭერას საკუთარი იდეებისა და პროფესიული მისწრაფებების განხორციელებაში.



წახალისების სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს ისეთი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებულია მუდმივ განახლებაზე და შემოქმედებით მიდგომებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- თანამშრომლის ადაპტაციის წესი;
- განხორციელებული პროგრამების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანხვედრას დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ხარისხის მართვის დოკუმენტი“ აგებულია უწყვეტი განვითარების ციკლურ პრინციპზე (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე), რაც სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტის მუდმივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. დაწესებულების განვითარების მიმართულებები და კონკრეტული ამოცანები მკაფიოდ არის გაწერილი სტრატეგიულ გეგმაში, რომლის საფუძველზეც იქმნება ყოველწლიური ოპერატიული (სამოქმედო) გეგმა. გეგმების ასეთი იერარქიულობა და თანმიმდევრულობა უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ განაწილებასა და დასახული შედეგების ეფექტიან მიღწევას.

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს პედაგოგთა პასუხისმგებლობა სასწავლო შედეგების ანალიზის მიმართ; მასწავლებლები ახდენენ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების რეფლექსიას და ანალიზს წარუდგენენ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებს. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სწავლების ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვას. ამრიგად, სკოლაში არსებული მართვის პოლიტიკა და პროცედურები ქმნის ერთიან, მართვად სისტემას, რომელიც სრულად პასუხობს სკოლის მიერ დეკლარირებულ საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სისტემურად არის იდენტიფიცირებული და აღწერილი ყველა მნიშვნელოვანი პროცესი. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის გამიჯნული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრების ორგანიზებულ მიმდინარეობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ თითოეული მმართველი რგოლისა და პოზიციისთვის შემუშავებულია ფუნქციური მოვალეობები. კერძოდ, განსაზღვრულია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სამეურვეო საბჭოს, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარისა და მასწავლებლის ვალდებულებები. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ეს როლი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სკოლის მთავარ მიზანს — ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.



ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროცესების მართვის სამართლებრივ გამართულობას შესაბამისი დებულებების დამტკიცებითა და თანამშრომლებისთვის მათი გაცნობით. კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ასეთი დეტალური აღწერა და გადანაწილება ხელს უწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო იდენტიფიცირებას, რაც გამორიცხავს ფუნქციურ გადაფარვებს და აძლიერებს სკოლის მმართველობით რგოლებს შორის კოორდინაციას. ამრიგად, სკოლაში არსებული პროცესების აღწერა და მართვის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს გამჭვირვალე სახელმძღვანელოს, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მიღებული შედეგების გასაჩივრების ეტაპებსა და პროცედურულ თანმიმდევრობას. თანამშრომელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი ინსტიტუციონალიზებულია. კერძოდ, საჩივრების განხილვა ხორციელდება დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც უზრუნველყოფს პროცესის კოლეგიურობას, მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას. **პერსონალური მონაცემების დაცვა:** მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმებს. ამ მიზნით, კანონიერი ინტერესების დაცვის ფარგლებში, სკოლა აწარმოებს თანხმობის ფორმებს როგორც მასწავლებლების, ისე მშობლების მიმართ, რაც ადასტურებს პროცესის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს დავების გადაწყვეტის ცივილიზებული ფორმა, რაც ხელს უწყობს კონფლიქტების პრევენციას და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი რეგულაციები და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტში — შინაგანაწესში — მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. ეს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას მათი სამართლებრივი სტატუსისა და დაცვის გარანტიების შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობაც რეგულირდება შინაგანაწესით. კომიტეტის



არსებობა წარმოადგენს უფლებების დაცვის ქმედით მექანიზმს, რომელიც ორიენტირებულია საკითხების სამართლიან და ობიექტურ განხილვაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: დისციპლინური კომიტეტის, სამეურვეო, პედაგოგიური და მრჩეველთა საბჭოების სხდომის ოქმები, ადასტურებს, რომ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღება და უფლებების დაცვა ხორციელდება კოლეგიურობის პრინციპით. სამეურვეო, მრჩეველთა საბჭოების აქტიური ჩართულობა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში არსებობს ინტერესთა ბალანსის დაცვისა და უკუკავშირის მიღების მრავალფეროვანი არხები, რაც პირდაპირ კავშირშია მხარეთა კანონიერი ინტერესების დაცვასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია პერსონალისა და მშობლის უფლებების დაცვის სათანადო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცება
- შინაგანაწესი მრჩეველთა საბჭოს წევრების ცვლილება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- თანამშრომელთან ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების ძირითად პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები, რაც მართვის პროცესს ხდის პროგნოზირებადს და



გამჭვირვალეს. უკუკავშირისა და რეაგირების მექანიზმები: სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების პროცესი ხორციელდება სამეურვეო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. განხილვის ეტაპზე ხდება უკუკავშირის მოსმენა და რაციონალური წინადადებების გაზიარება, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედებს ორმხრივი კომუნიკაციის ეფექტური სისტემა. **სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა:** სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრთა ერთობლივი მონაწილეობა ხაზს უსვამს მართვის დემოკრატიულ სტილს. პროცესი, რომელიც მოიცავს დოკუმენტის საჯარო განხილვასა და სამეურვეო საბჭოზე დამტკიცებას, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებას სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით. სტრატეგიული დოკუმენტები ხელმისაწვდომია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც ხელს უწყობს ნდობის მოპოვებას და ზრდის პასუხისმგებლობას საერთო სასკოლო მიზნების მიღწევაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია და პრაქტიკული საქმიანობა (საბჭოების სხდომები, განხილვები) ადასტურებს, რომ სკოლის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების რეალური ჩართულობა და უკუკავშირის მექანიზმები ქმედითია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. სკოლაში ფუნქციონირებს ყველა სავალდებულო რგოლი, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის დემოკრატიულობას. საგნობრივი კათედრების მუშაობაში ჩართულია ყველა მასწავლებელი, რაც ხელს უწყობს აკადემიური საკითხების კოლეგიურ გადაწყვეტას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეურვეო საბჭოს აქტიური როლი, რომლის შემადგენლობაშიც პროპორციულად არიან წარმოდგენილნი მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს, შეათანხმოს ან/და დაამტკიცოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტები, რაც ადასტურებს მათ რეალურ გავლენას სკოლის მართვაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს მინიჭებული შესაძლებლობა და რესურსი, აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, გამოხატოს მოსწავლეთა ინტერესები და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სასკოლო აქტივობების დაგეგმვაში. სკოლაში არსებული ინსტიტუციები (კათედრები, საბჭოები) თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპების მონიტორინგსა და მხარდაჭერას. ეს მიდგომა ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის გადანაწილებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და კოლეგიური ორგანოების მუშაობის პრინციპები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია ყველა პირობა სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიური და ქმედითი ჩართულობისთვის.



ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

11. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო



სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლის ადმინისტრაცია პრიორიტეტულად მიიჩნევს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შენობის მოვლა-პატრონობისა და მდგრადობის მიზნით ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. სკოლაში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და პერსონალი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ექთნით, რაც სამედიცინო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სკოლის ქონების დაცვისა და პრევენციის მიზნით, ეზოსა და გარე პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის შიდა მექანიზმები. სკოლას მომზადებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა ამ ეტაპზე იგი არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ უწყებებთან. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლას არ გააჩნია სტანდარტით გათვალისწინებული საევაკუაციო გეგმა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციის არარსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზს ფიზიკური უსაფრთხოების სრულყოფილად შეფასებისთვის. ასევე სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია : სახანძრო უსაფრთხოების საკითხები მოგვაროს , მოამზადოს შესაბამისობის პროექტი , შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში და მოიპოვოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა . მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს არსებული ხარვეზები და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული ვადები და ნაბიჯები საევაკუაციო გეგმის მომზადებისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოსაპოვებლად. ასევე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად.

12. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სკოლაში პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პასუხისმგებელი პირების მოვალეობებსა და იმ პროცედურულ ნაბიჯებს, რაც აუცილებელია მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლას აქვს მოწესრიგებული ექიმის კაბინეტი. სველი წერტილით, საწირო ინვენტარით, შირმით და შესაბამისი მედიკამენტებით. სკოლაში სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს კვალიფიციური ექთანი, რომელიც აყვანილია სამინისტროსთან შეთანხმებით. რეგულარულად აწარმოებს მედიკამენტების გაცემის აღრიცხვის ჟურნალს (დღიურს). ჟურნალში ზუსტად ფიქსირდება დახმარების გაწევის დრო და გაცემული პრეპარატის დასახელება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კონტროლს. სკოლაში დანერგილია



ეთიკური და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი — ნებისმიერი მედიკამენტის გაცემამდე ან სამედიცინო ჩარევამდე ხდება მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება და მისი წინასწარი ინფორმირება, რაც სამართლებრივად და მორალურად გამართლებული მიდგომაა. წარმოდგენილი აღწერილობიდან ჩანს, რომ სკოლა მზად არის საჭიროების შემთხვევაში დროულად და ადეკვატურად უზრუნველყოს პირველადი დახმარების აღმოჩენა სკოლის ტერიტორიაზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია უსაფრთხო სასწავლო გარემოსთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი წესი და ექთნის მიერ წარმოებული აღრიცხვიანობის პრაქტიკა სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

13. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სკოლის მცირეკონტიგენტიანობა, რაც ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას, ეფექტურად განახორციელოს თითოეული მოსწავლისა და სასკოლო პროცესის ინდივიდუალური მეთვალყურეობა. სკოლა აღჭურვილია ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, რომელიც ფარავს როგორც შიდა სივრცეს, ისე გარე პერიმეტრს. ვიდეომონიტორინგი წარმოადგენს წესრიგის დარღვევისა და სკოლის ქონების ხელყოფის პრევენციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. დაწესებულებაში მკაცრად არის განსაზღვრული და დაცული სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლისა და გადაადგილების პროცედურა. ეს მექანიზმი მინიმუმამდე ამცირებს არაუფლებამოსილი პირების მხრიდან სასწავლო პროცესში ჩარევას ან რაიმე სახის საფრთხის შექმნას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისკენ მიმართული ყველა ღონისძიება (ტექნიკური აღჭურვილობა, სადღეღამისო მონიტორინგი, ვიზიტორთა აღრიცხვა) ემსახურება სკოლის უძრავი და მოძრავი ქონების დაცვასა და მოსწავლეთათვის უსაფრთხო, მშვიდი სასწავლო გარემოს გარანტირებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკული ზომები და ტექნიკური საშუალებები ქმნის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საიმედო სისტემას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

14. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში დანერგულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივი აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკა. არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირება ხელს უწყობს პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას და მოსწავლეთა ემოციურ სტაბილურობას. ვიზიტის დროს მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მოსწავლეთა ემოციურ კეთილდღეობაზე. ერთობლივი



ღონისძიებები ქმნის პლატფორმას თვითგამოხატვისთვის, რაც პოზიტიურად აისახება მოსწავლეთა თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის წარმოადგენს ბუღინგისა და სხვა სახის ძალადობის პრევენციის ეფექტურ მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს ემოციურად უსაფრთხო გარემოს მდგრადობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებული სოციალურ-ემოციური კლიმატი და მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის არსებული პოზიტიური ურთიერთობები სრულად პასუხობს ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მოთხოვნებს.

15. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დოკუმენტი“. აღნიშნული მარეგულირებელი აქტი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და განსაზღვრავს დაწესებულებაში სისუფთავისა და ჰიგიენის შენარჩუნების სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგის კონკრეტულ ეტაპებსა და პროცედურებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ წესების დეკლარირებით, არამედ გაწერილი აქვს მათი აღსრულების კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურას კურირებენ სკოლის დირექტორი და ექთანი. ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალის ერთობლივი ჩართულობა გარანტიას იძლევა, რომ სკოლის შენობასა და ეზოში დაცული იქნება ჯანსაღი გარემო მოსწავლეებისა და პერსონალისთვის. სკოლის ადმინისტრაცია ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემუშავებული დოკუმენტაციით, რაც მოიცავს როგორც სივრცეების დასუფთავების გრაფიკს, ისე სანიტარული კვანძებისა და საერთო სარგებლობის ფართების ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მონიტორინგის გაწერილი ეტაპები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

16. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული და დანერგული აქვს „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოს, რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული ინფორმაციის (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით) დამუშავების, შენახვისა და გაცემის სამართლებრივ ასპექტებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლას ჰყავს განსაზღვრული პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აღნიშნული პოზიციის არსებობა უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროცესების მუდმივ მონიტორინგს, თანამშრომელთა კონსულტირებასა და შესაძლო დარღვევების პრევენციას. სკოლაში დანერგულია ელექტრონულ სისტემებთან წვდომის მკაცრი კონტროლი. სისტემაზე წვდომა აქვს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირს, რაც გამორიცხავს მონაცემთა არაუფლებამოსილ გამოყენებას ან გაჟონვას. ეს



მექანიზმი იცავს როგორც პერსონალის, ისე მოსწავლეებისა და მათი მშობლების კონფიდენციალურ ინფორმაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი აღწერილობა ადასტურებს, რომ მონაცემთა დაცვა დაწესებულებისთვის პრიორიტეტული საკითხია და არსებული რესურსები (ოფიცერი, წესი, ელექტრონული ფილტრები) ქმნის ინფორმაციული უსაფრთხოების საიმედო გარანტიას. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციონირება სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.

17. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ პლატფორმას (Microsoft-ის პროგრამული უზრუნველყოფა), რაც ინფორმაციის დაცვის მაღალ სტანდარტს განაპირობებს. სისტემაში წვდომა არის იერარქიული და დაცული, რაც მინიმუმამდე ამცირებს მონაცემთა არაუფლებამოსილი გამოყენების რისკს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის (თანამშრომელი, მოსწავლე) შექმნილია ინდივიდუალური ანგარიშები და პაროლები. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემებისა და სასწავლო/ადმინისტრაციული ინფორმაციის დიფერენცირებულ დაცვას, სადაც მომხმარებელს წვდომა აქვს მხოლოდ მისთვის განკუთვნილ სამუშაო სივრცესთან. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში გამოყენებული ყველა პროგრამა არის ლიცენზირებული. აღნიშნული გარემოება არა მხოლოდ სამართლებრივი კეთილსინდისიერების მაჩვენებელია, არამედ წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების გარანტს, რადგან ლიცენზირებული პროდუქტები რეგულარულად ახლდება და დაცულია ვირუსული თუ სხვა სახის მავნე თავდასხმებისგან. სკოლის მიერ არჩეული ციფრული მართვის სტრატეგია ხელს უწყობს ინფორმაციის უსაფრთხო შენახვასა და მის ხელმისაწვდომობას მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისთვის. სკოლის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური რესურსები და ინდივიდუალური წვდომის სისტემები სრულად შეესაბამება ინფორმაციის დაცვის თანამედროვე მოთხოვნებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

18. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებისთვის. საბჭოს ფორმატში ხდება სასკოლო საზოგადოებისგან მოსაზრებებისა და უკუკავშირის მიღება უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების მრავალმხრივ ანალიზს. წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმები ადასტურებს, რომ სკოლა პერიოდულად განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს. დაწესებულებას აქვს მზაობა და დაგეგმილი აქვს მონიტორინგის სისტემის შემდგომი განვითარება, რათა მიღებული მონაცემები უფრო სისტემურად იქნას გამოყენებული არსებული მექანიზმების (საზოგადოებრივი წესრიგი,



ჰიგიენა, მონაცემთა დაცვა) დასახვეწად. სკოლაში არსებული წესები (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები) ქმნის იმ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ხდება პროცესების შეფასება. აღნიშნული დოკუმენტაცია საფუძველს უყრის უსაფრთხოების პოლიტიკის უწყვეტ გაუმჯობესებას. სკოლის მიერ გამოხატული სტრატეგია — მონიტორინგის შედეგების გამოყენება სამომავლო გაუმჯობესებისთვის — მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობაზე, არამედ უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის რეალურ ზრდაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების წესი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურაში და განთავსებულია ორსართულიან შენობაში. სკოლის მფლობელობაშია ორი ძირითადი სასწავლო შენობა და დამხმარე ნაგებობა (საქვაბე). შენობების საერთო ფართი (2438.5 კვ/მ) და ეზოს ტერიტორია (1200 კვ/მ) იძლევა შესაძლებლობას, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობა მოსწავლეთა არსებული კონტიგენტის გათვალისწინებით. სკოლას გააჩნია სარეკრეაციო ზონა და **გარე სპორტული მოედანი**, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ აქტივობას. სკოლა უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით, სადაც განთავსებულია შესაბამისი წიგნადი ფონდი, და კომპიუტერული ლაბორატორიით, რაც აუცილებელია ტექნოლოგიური უნარების განვითარებისა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერისთვის. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის სრულფასოვნად განხორციელებისთვის სკოლას **ამ ეტაპზე არ გააჩნია აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია**. აღნიშნული კომპონენტის არარსებობა აფერხებს პრაქტიკული და ექსპერიმენტული სწავლების პროცესს. თუმცა, სკოლას გაცნობიერებული აქვს აღნიშნული საჭიროება და შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს კონკრეტული ნაბიჯები თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორიის მოსაწყობად. მნიშვნელოვან **ხარვეზს** წარმოადგენს საჯარო რეესტრის **განახლებული ამონაწერის არარსებობა**. პრობლემა უკავშირდება ძველი შენობის დემონტაჟის ნებართვის არქონას განათლების სამინისტროს მხრიდან, რაც აფერხებს ქონებრივი დოკუმენტაციის მოწესრიგებას და ინფრასტრუქტურის სამართლებრივ ვალიდურობას ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. **დასკვნა:** მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გააჩნია ფუნქციური შენობები და ძირითადი რესურსები (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი), **საჯარო რეესტრის დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები** წარმოადგენს არსებით შეუსაბამობას. ვინაიდან სკოლას წარმოდგენილი აქვს ამ ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა, ინდიკატორი ამ ეტაპზე ფასდება, როგორც **ნაწილობრივ შესაბამისი**.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ღია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. რესურსების ეფექტური მართვის მიზნით, სკოლაში მოქმედებს სამუშაო განრიგი, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული სივრცეების სისტემურ და შეფერხებების გარეშე გამოყენებას როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე აქტივობებისთვის. დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა **ინკლუზიურობასა** და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობას. სკოლის შესასვლელი და პირველი სართული სრულად ადაპტირებულია. პირველ სართულზე სტრატეგიულად არის განთავსებული ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორცაა ექთნის კაბინეტი, რესურს-ოთახი და ბიბლიოთეკა, რაც



სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის, საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მონაწილეობით იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. ისე ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ და შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებასა და აუცილებელ რესურსებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ 33-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და წერს დასკვნას. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი, მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრული შესაბამისი სპეციალური პედაგოგი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში.



თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართულ პროაქტიულ აქტივობებს. ვიზიტის დროს ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან ინტერვიუ, ინტერვიუს დროს რესპოდენტმა გამოამჟღავნა არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება, ასევე აღწერა მრავალფეროვანი აქტივობები, რასაც ის გეგმავს და ახორციელებს. ისე ემოციურად საუბრობდა მოსწავლეზე, რომ ფაქტია სკოლის მიდგომა სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მიმართულებით გამართულად მუშაობს. სკოლა ინკლუზიური განათლების მიმართულებით ცდილობს ჰქონდეს მაქსიმალურად სსსმ მოსწავლის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი რესურს ოთახი. სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე. სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები. სკოლაში სსსმ მოსწავლის მიმართ არის შედგენილი სასწავლო გეგმები მასწავლებელთა მხრიდან, სკოლას ჰყავს სპეც მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობას და აქტიურ ჩართულობას ახდენს სსსმ მოსწავლის ადაპტაციის გზების დაგეგვმა განხორციელების ყველა კომპონენტში

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად. სკოლის სასკოლო - სასწავლო გეგმით რეგულირდება მოსწავლეთა, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რეგულაციები, საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად სკოლაში არსებული დამხმარე სერვისების შესახებ. ინკლუზიური განათლების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. კითხვარები გათვლილია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის (დირექტორი, მშობლები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა პირები) და ემსახურება სკოლაში მიმდინარე პროცესების კვლევას აღნიშნული მიმართულებით. განსხვავებულობის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში იმართება სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღის აღსანიშნავად სკოლაში ინტერაქციული

და ინტელექტუალურ- გასართობი აქტივობა „აწვევ ფაზლი“ განხორციელდა. ამავე დღის აღსანიშნავად სსსმ მოსწავლის ჩართულობით თემატური კედლის გაზეთები, პოსტერები და გულსაბნევეები დამზადდა. აღნიშნული კედლის გაზეთები გამოიფინა სკოლის ფოიეში, ხოლო თემატური გულსაბნევეები დარიგდა სასკოლო საზოგადოების წევრებში. სსსმ მოსწავლე მონაწილეობს არაფორმალურ აქტივობებში/პროექტებში, მაგალითად, საგანმანათლებლო საგრანტო კონკურსის ფარგლებში სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ინკლუზიური სამუშაო სივრცე, სადაც მოსწავლეებს საკუთარი შემოქმედებითი იდეების აქტიურ რეჟიმში განხორციელების თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა, მათ შორის სსსმ მოსწავლესაც. ოლის საზოგადოება თანამონაწილეობის პრინციპით საკუთარი უფლება მოვალეობების შესაბამისად ჩართულია სსსმ მოსწავლის ადაპტაციის შესაბამისი მოქმედებების განხორციელებაში. სკოლას აქვს რესურსოთახი, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისე ჯგუფის ფორმირება. ისე ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სსსმ მოსწავლის საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული მოსწავლე აქტიურად ჩართული არის სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა უზრუნველყოფს რესურს ოთახის აღჭურვას ყველა საჭირო შესაბამისი ინვენტარით, მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ბრძანება - სსსმ მოსწავლის გეგმის შექმნის კომისია;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას
ინდიკატორი შესაბამისია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორი შესაბამისია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას
ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:



- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (დაწყებითი საფეხური)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (საბაზო საფეხური)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (საშუალო საფეხური)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება



	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ასახავს სურათს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თემის სჭიროებებსა და მოთხოვნებს. კერძოდ, სასკოლო პროგრამა დიდ ყურდღებას უთმობს მოსწავლეთა იმ უნარებით აღჭურვას, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების მიერ მიზნად დასახული მისიისა და ხედვის განხორციელებას. კერძოდ, სასკოლო პროგრამაში წარმოდგენილია სხვადასხვა საგნის ჭრილში დაგეგმილი პროექტულ დავალებები, რომელთა მიზანიცაა ამა თუ იმ საგნობრივი მიზნების პარალელურად გავიდნენ ზესაგნობრივ პრიორიტეტულ თემებზე. ამის ნათელი მაგალითებია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების მიერ ორგანიზებული არა ერთი პროექტული დავალება. რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და გარემო ბუნების დასუფთავება-მოვლას; ასევე, საგნობრივ კათედრის სამოქმედო გეგმებში წერია, რომ კათედრები აქტიურ ღონისძიებებს ატარებენ, რათა მოსწავლეები სრულყოფილად მოამზადონ ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის, აკადემიური სირთულეების მქონე მოსწავლეებთან კი, დაგეგმილი აქვთ რემედიაციისთვის საჭირო მეცადინეობები.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამები- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ისევე როგორც პედაგოგებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესისთვის შერჩეული თემები და საკითხები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და თანხვედრაშია თითოეულ საგნობრივ სტანდარტთან. პედაგოგები ყველა კლასში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებულ მიგნებებს (სადიაგნოსტიკო წერების, შემაჯამებელი დავალებებისა თუ ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე), აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ქმნიან/მოდდიფიცირებას უკეთებენ შემოქმედებით დავალებებს, გეგმავენ ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებებს მომდევნო სასწავლო წლისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტები, ე.წ. კურიკულუმების ჩარჩოები მრავალფეროვანია და საშუალებას იძლევა მოერგოს სხვადასხვა ინტერესისა თუ საჭიროების მქონე მოსწავლეს, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და

გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინონ სასწავლო გეგმის განახლება. აღსანიშნავია, რომ მშობელთა უკუკავშირებზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებისა და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად აქტიური და პოზიტიური.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ისევე როგორც კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და დირექციის ურთიერთ თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობებიდან გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით. კათედრის წევრები ერთობლივად ანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მათი განხორციელებისთვის საჭირო სათანადო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს.

პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. კათედრები იყენებენ კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას. საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, შემაჯამებლების ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.



4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მშობელთა კრებების ოქმები გვიჩვენებს, რომ სკოლის დირექცია და დამრიგებლები საგნის პედაგოგებთან ერთად აქტიურად აცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს დაგეგმილ სასწავლო პროგრამას.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პროექტის გეგმები/ფოტო სურათები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია
--------------------------------	---



	<p>სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, შუალედური მიზნები, საკითხები, რესურსები. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შუალედური დავალებების იდეა, რომლის ფარგლებშიც ხდება შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული შუალედური დავალებები იძლევა კონსტრუქტივიზმის პრინციპების რეალიზების და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას.</p> <p>რჩევა: ბუნებისმეტყველების კურიკულუმის შემუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემა ემთხვეოდეს სტანდარტით განსაზღვრულს. სასურველია, კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი მეტი შუალედური დავალება. სასურველია დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს შუალედური დავალების პირობები</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>საზოგადოებრივი მეცნიერებების შემუშავებულ კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ჩანს, რომ მოსწავლეზეა ორიენტირებული. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს რომ, ცდილობენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიაწოდონ ახალი მასალა მოსწავლეებს, დაგეგმონ სხვადასხვა საინტერესო და მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განუვითარდეთ შემოქმედებითი და კრიტიკული უნარები. სკოლის დოკუმენტებით დასტურდება, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები პროექტში და საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტები შექმნეს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა - აქტივობები და მიზნები გათვლილია მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების განვითარებას საფეხურების მიხედვით.</p>



	<p>რჩევა: სასურველია, გაგრძელდეს მუშაობა კურიკულუმების ვერტიკალური კოორდინაციის გაძლიერებაზე, რათა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასწავლო შინაარსი კიდევ უფრო ორგანულად უკავშირდებოდეს ერთმანეთს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტების ჭრილში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>ესთეტიკის კათედრაზე სამივე საფეხურისათვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში წარმოდგენილია შუალედური დავალებების იდეა, რომლის ფარგლებშიც ხდება შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული შუალედური დავალებები შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას დავალების შესრულებისას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განვითარების თავისებურებანი, კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები კონსტრუქტივისტულ მიდგომას ეყრდნობა და ითვალისწინებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს. გამოგზავნილ კურიკულუმებში სასურველია სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნას შემდეგი:</p> <p>რჩევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, საკითხების გრაფის სათაურში სიტყვა კლასტერი არ ჩაიწეროს, ქართულში საკითხი საკმარისია;



	<ul style="list-style-type: none"> • სასურველია, ის, რაც წერია საკითხებში, კონტექსტმაგალითებში გადავიდეს და გრაფას დაეწეროს ტექსტები და კონტექსტმაგალითები; საკითხების გრაფაში კი ჩაიწეროს დავალების დასახელება, ანუ საკითხი, რასაც ეხება დავალება, მაგ., პერსონაჟის წერილის დაწერა, ამბის შეთხზვა და მისთ. • სასურველია, შემოქმედებითი დავალების გრაფაში დავალების პირობა ჩაიწეროს შეფასების კრიტერიუმებამდე, ზუსტად ისე, როგორც ვეუბნებით მოსწავლეს, მაგ., მოიფიქრე და წერილობით გადმოეცი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ზღაპრების მწერალი ბიჭუნა, რომელსაც წერა-კითხვა არ უყვარდა. • ცნებების გრაფაში ქვესაკითხების მითითება აუცილებელი აღარაა. <p style="text-align: center;">ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>მათემატიკის კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული. ეს აისახება თემატურ მიმართულებებში, საკითხთა კლასტერებსა, შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებებში, საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებში, რომლებიც მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას ემსახურება.</p> <p>გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები სრულად აცნობიერებენ სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს. ისინი ეფექტურად მუშაობენ როგორც გრძელვადიან ასევე შუალედურ მიზნებზე, იყენებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს.</p> <p><u>რჩევა:</u> სასურველია, ზოგიერთი კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა. რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. (მაგ: მე-6 კლასი. თემა რიცხვები; მოქმედებები რიცხვებზე...)</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</p>
<p>სპორტი</p>	<p>შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს</p>



	<p>და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ.</p> <p>რჩევა: სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც;</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან---კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე.</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივ</p>



	<p>კურიკულუმებში თემები უმეტესად გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. თემების ფარგლებში მოცემულია შუალედური მიზნები, შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები.</p> <p>ინდიკატორის მოთხოვნები დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია</p>
--	---

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალება. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში.</p> <p>წარმოდგენილი კურიკულუმის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს.</p> <p>კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში მრავლად დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და</p>



	<p>შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (მოქალაქეობა, გეოგრაფია, ისტორია) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს - ყველა სამიზნე ცნება. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ყველა სასწავლო თემაში დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება.</p> <p>რჩევა: სასურველია კონტექსტმაგალითები შერჩეულ იქნას უფრო დაზუსტებით და კავშირში იყოს საკითხთა კლასტერთან.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ გეგმის მიზნებს, განსაკუთრებით - ენობრივი კომპეტენციების განვითარებასა და ფუნქციური ენის გამოყენებას.</p> <p>რჩევა: სასურველია გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გაააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>მტკიცებულებებით წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით</p>



	<p>განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
სახელმწიფო ენა	<p>კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში მრავლად დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
მათემატიკა	<p>კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სრულად არის გათვალისწინებული, რაც აისახება ყველა ძირითად კომპონენტში: თემები, საკითხები, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა.</p> <p>რჩევა: სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად. (მაგ: მე-8 კლასი. თემა მონაცემთა ანალიზი, მათემატიკური მოდელის ქცენცეები)</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</p>
სპორტი	<p>სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ტექნოლოგიები	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან---კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება</p>



	<p>ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ, მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები (შემოქმედებითი ბუნების დავალებები), საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები.</p> <p>რჩევა: სახელმწიფო ენის მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმების შემუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ რიგით მეოთხე სვეტის ქუდში კონტექსტმაგალითების ნაცვლად ეწეროს - „ტექსტი/ტექსტები“, შემდეგ კი აღნიშნულ სვეტში პედაგოგებს შეეძლება დაახარისხოთ შესასწავლი ძირითადი და დამხმარე ტექტები; აღნიშნულ კლასებში საკითხების გრაფაში არაა სასურველი ჩამოიწეროს შესასწავლ ტექსტებს, ამ ველში საკითხი მხოლოდ მაშინ იწერება, როდესაც შემოქმედებითი ბუნების დავალებაა წარმოდგენილი (მაგ.: თუ დავალების პირობაა მოსწავლემ შექმნას შესწავლილი იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი, საკითხი იქნება- იგავ-არაკის მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერი).</p> <p>რჩევა: საგანში ბუნებისმეტყველება (მე-3 და მე-4 კლ) სახელმძღვანელოში მოცემული საკითხები (პარაგრაფები) სრულად შეესაბამებოდეს საგნობრივი სტანდარტით შემოთავაზებულ თემებს</p> <p>რჩევა:</p>



	<p>საგანში მათემატიკა მეორე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები, რესურსები კონკრეტული სახელმძღვანელოს გვერდები, შეესაბამებოდეს სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს.</p> <p>ინდიკატორის მოთხოვნები დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.</p>
--	---

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სამივე საფეხურზე, ყველა საგანის (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ წარმოადგინა რესურსების ჩამონათვალი- ძირითადი რესურსი - გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, ანიმაციები</p> <p>რჩევა: კურიკულუმში ჩაშენდეს ვირტუალური ლაბორატორიიდან დავალებები; კურიკულუმში აისახოს ინტერვიუს დროს აღწერილი მარტივი ექსპერიმენტები, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს ლაბორატორიულ რესურსს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლის მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო. ყველა მოსწავლეს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოყვანილია მაგალითები, თუ როგორ ცდილობენ პედაგოგები აღმოუჩინონ ყველა მოსწავლეს მხარდაჭერა, ყველა რესურსი რომელიც არის სკოლაში ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის. სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები</p>



	<p>ახორციელებენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს. ასევე სკოლის ფოტო მასალიდან ჩანს რესურსები, რომლებსაც იყენებენ მოსწავლეები. ასეთი სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქო- ემოციურ განვითარებას. თანამშრომლობას და პიროვნულ განვითარებას.</p> <p>რჩევა: სასურველია, სსსმ მოსწავლეთათვის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები იყოს კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე სასურველია, კათედრამ საგნობრივი მიმართულებით წინასწარ განსაზღვროს რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>სამივე საფეხურზე შერჩეული სასწავლო რესურსები მრავალფეროვანია და ვალიდური. გამოყენებული მასალა (სახელმძღვანელოები, აუდიო-ვიზუალური მასალა) პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსის - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები სკოლის სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მასალას იუთუბ არხიდან, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; საჭირო რესურსების შესახებ კათედრა წინასწარ თანხმდება.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



<p>მათემატიკა</p>	<p>სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე ონლაინ და მატერიალური რესურსები. ონლაინ რესურსების მაგალითებია: "ტელე სკოლის" ვიდეო გაკვეთილები, "ხანის აკადემიის" გაკვეთილები და ტესტები.</p> <p>რჩევა: სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებთ. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება კი მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესში. ის უზრუნველყოფს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ, სიღრმისეულ ათვისებას. სასურველია გამოიყენოთ: ისკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra, desmos და სხვა.</p> <p>ინდიკატორი: შესაბამისობაშია</p>
<p>სპორტი</p>	<p>სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან---კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.</p>



	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორის მოთხოვნები დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	<p>საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიუმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მრავალფეროვნება, ასევე წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში შეტანილი დავალებები და აქტივობები ხელს უწყობს ინკლუზიური მიდგომების განხორციელებას.</p> <p>რჩევა: სასურველია კურიკულუმს ერთვოდეს ყველა შუალედური დავალების პირობა ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.</p>
საზოგადოებრივი მეცნიერებები	<p>სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს .ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს . დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი , პოსტერი, ნახატი და ა. შ.)</p>



	<p>რჩევა: სასურველია, კურიკულუმში დოკუმენტურად აისახოს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების იდეები, ინსტრუქციები, პირობები. საკმარისია რამდენიმე ნიმუში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>დოკუმენტური მასალა და მასწავლებელთა პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური გეგმები, ადაპტირებული აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო გარემო მორგებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. წლის დასაწყისში, სამივე საფეხურზე პედაგოგებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით კურიკულუმში შეაქვეთ ცვლილებები, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვეთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, რამდენადაც სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც ინდივიდუალური გეგმებში აისახება. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



<p>მათემატიკა</p>	<p>საგნობრივი კურიკულუმი შექმნილია ისე, რომ მასში ორგანულადაა ინტეგრირებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. შემოქმედებითი / კომპლექსური დავალებების პირობები, კრიტერიუმები და აქტივობები მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. ეს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თანაბრად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და განავითარონ საკუთარი პოტენციალი.</p> <p>დავალებების ნიმუშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მათი ინტერესებისა და მზაობის გათვალისწინებით. პედაგოგების უკუკავშირით დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, აგროვებენ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე აფასებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. და უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. წარმოდგენილი აქვთ სსსმ მოსწავლეებისთვის ინდ გეგმა..</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია</p>
<p>სპორტი</p>	<p>პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მორგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან--კომპიუტერულ ტექნოლოგიების პედაგოგთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლის მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასთან მიმართებაში.</p> <p>მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დავალებაში, ნათლად ჩანს მოსწავლეთა დიფერენცირება.</p>



	<p>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, (საბაზო საფეხურზე აქვს ისგ მუშაობის გამოცდილებაც), თუმცა გასაუბრებით, როგორც გამოჩნდა. დაწყებით საფეხურზე არ ერიცხებათ სსსმ მოსწავლე.</p> <p>ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.</p>

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები.</p> <p>წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, რიგ შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები სრულყოფილად არ ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ არის საკმარისად მკაფიოდ დაკავშირებული სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან.</p> <p>რჩევა:</p> <p>შეფასების ყველა რუბრიკის შემუშავებისას, კრიტერიუმები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რათა</p>
--	--



	<p>შესაძლებელი იყოს მოსწავლის მიღწევის დონის უფრო ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დგინდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.</p> <p>რჩევა: სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსებული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის გააზრებაში. აღსანიშნავია ორივე ტიპის შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება, მათ შორის დიფერენცირებული, ადაპტირებული აქტივობებისთვის. ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ შეფასებას და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას.</p> <p>რჩევა: რეკომენდებულია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს შეფასების რუბრიკების შემუშავება თემებზე, საკითხებსა და</p>



	<p>სამიზნე ცნებებზე მორგებით, დავალების ტიპისა და საფეხურის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა პროგრესის წახალისებისთვის.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სკოლის სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის ცნობილია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. მოსწავლეებმა ყოველთვის იციან, რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. შეფასების რუბრიკებში დეტალურადაა გაწერილი შეფასების მიზნები და კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესი ჩართული არიან თავად მოსწავლეებიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას და ობიექტურობას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, შეფასების რუბრიკებში, ასახულია მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რაც იმითაა განპირობებული, რომ წარმოდგენილ დავალებებში მკაფიოდაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, ანუ აფასებენ იმას, რასაც დავალებაში ითხოვენ. კათედრას შეუმუშავებია ასევე ზოგადი რუბრიკებიც, მაგ., პრეზენტაციის, დისკუსიისა და სხვ.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები.</p> <p>კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტიკას. შემოქმედებითი დავალებების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები. რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აღწეროს შესრულებული სამუშაო, და შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი. წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,</p>



	<p>რომლებიც ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა ზოგიერთ შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს.</p> <p>რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია</p>
<p>სპორტი</p>	<p>სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან---კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. მასწავლებელთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებელს აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებელს ზოგადად აქვს ხედვა, როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის.</p>



	<p>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>დაწყებითი საფეხურის კათედრას მეტწილად წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია დონების მიხედვით რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. ეს თქმა უნდა, წარმოიდგენილია ზოგიერთ შემოქმედებითი ბუნების დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკაც</p> <p>რჩევა: დაწყებითი საფეხურის საგნებისათვის გაიზარდოს ისეთი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების რაოდენობა, რომლებიც კონკრეტულ (კურიკულუმში წარმოდგენილ) დავალებებზე იქნება მორგებული. კრიტერიუმების შემუშავებისას პედაგოგებმა უფრო მეტად გაითვალისწინონ საგნის სტანდარტში მოცემული გრძელვადიანი მიზნები. კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნისას იხელმძღვანელონ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებით.</p> <p>ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.</p>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები და შესაბამისი ბრძანებები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრების ოქმები და დებულება;
- დიაგნოსტიკური წერისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- მშობელთა ანონიმური კითხვარები და შეხვედრის აქტები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;



- ხარისხის ჯგუფის დებულება და ბრძანება;
- სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ბმულები/ფოტომასალა;
- არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კლუბების ბმულები, სიგელები, თოჯინების თეატრის ფოტოები)
- .შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები, რეფლექსიები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა აქტივობა და დავალება სრულად არ ხორციელდება სასწავლო პროცესში.</p> <p>რჩევა: სასწავლო პროცესი ყველა საგანში წარიმართოს კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებელმა ეტაპობრივად უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი აქტივობების სრულფასოვანი განხორციელება.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>სამივე საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმი დაგეგმილია თემატურად, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხთა კლასტერები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით შექმნილი კურიკულუმებით წარმართავენ სასწავლო პროცესს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა სრულ თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმსა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. შერჩეული მეთოდოლოგია და ინტერაქციული აქტივობები უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას. ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება პედაგოგთა მზაობა და</p>



	<p>კომპეტენცია, მოახდინონ სასწავლო პროცესის მოქნილი მოდიფიცირება (ტრანსფორმაცია) მოსწავლეთა ინტერესებისა და დინამიკური საჭიროებების გათვალისწინებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ იგი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სწორი დაგეგმვიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შედეგიანად წარმართვას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და სკოლაში განხორციელებული პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ეს შესაბამისობა გამოიხატება არა მხოლოდ კურიკულუმების შინაარსში, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაშიც, რაც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა. სასკოლო კურიკულუმი განსაზღვრავს საგნობრივ შედეგებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდნენ, რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითარონ მოსწავლეებს ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. წარმოდგენილია გაკვეთილის გეგმები (მაგ: მართკუთედის პერიმეტრი და ფართობი“) შემოქმედებითი დავალებების და პროექტების (მაგ: „მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვა ფორმით“) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, გააანალიზოს და შეაფასოს საკუთარი ნაშრომი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები ცოდნის კონსტრუირების სხვადასხვა საფეხურს ფარავს.</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</p>



<p>სპორტი</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა, რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან---კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სასწავლო პროცესი დაეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს მასწავლებელთან გასაუბრება.</p> <p>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ვინაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში ცვლილებების შეტანაც.</p> <p>ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.</p>

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი წლიური სასწავლო პროგრამა თითოეული საგნისადმი/საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რემედიაციის პროცესების აღმწერი დოკუმენტები და მასწავლებელთა ინტერვიუები ცხდყოფს, რომ სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რომ ადვილად გაუმკლავდნენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ დაუგეგმავ გამოწვევებს.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია პრეზენტაციის, კვლევის, საშინაო დავალების ზოგადი რუბრიკები. ასევე, თემის, შუალედური დავალების შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს სტანდარტის მიზნებზე ორიენტირება. რუბრიკების მეტწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თუმცა რიგ შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები სრულყოფილად არ ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ არის საკმარისად მკაფიოდ დაკავშირებული სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან.</p> <p>რჩევა: შეფასების ყველა რუბრიკის შემუშავებისას, კრიტერიუმები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რათა შესაძლებელი იყოს მოსწავლის მიღწევის დონის უფრო ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში არის რამდენიმე შეფასების რუბრიკა. მოსწავლეებისათვის ცნობილია თუ რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება.</p> <p>რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მასწავლებლები უნდა დაეყრდნონ სწორედ იმ დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვთ</p>



	წარმოდგენილი ან მომავალში შეიტანენ. ვურჩევთ სკოლას, უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, საკონსულტაციო შეხვედრა) კათედრისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. გამოყენებული კრიტერიუმები და მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას. რჩევა: სასურველია შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული რევიზია და კათედრის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის გაძლიერება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამას ადასტურებს ის, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის პროცესში ჩართული არიან თავად მოსწავლეები, რას სისტემას ეფექტურს და სანდოს ხდის. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ კომენტარებს. სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. როგორც ზემოთ აღინიშნა, შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იცნობს მოსწავლე, ანუ მან წინასწარ იცის, რას და როგორ შეუფასებენ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს, რაც



	<p>უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ, სამართლიან და ეფექტურ შეფასებას. მისი ვალიდობა დასტურდება იმით, რომ ის ზომავს– მოსწავლეთა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული.</p> <p>(წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები) სანდოობა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასების შედეგები თანმიმდევრულია, გამჭვირვალობა მიიღწევა შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების კომუნიკაციით, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს საშუალებას აძლევს, სრულად გაიგონ შეფასების პროცესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე, რომ შეფასების რუბრიკები აცნობენ მოსწავლეებს, ეს ყოველივე განაპირობებს შეფასების ობიექტურობასაც. შეფასების სისტემის სამართლიანობა კი გამოიხატება მის ინკლუზიურობასა და დიფერენცირებულ მიდგომებში, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. (წარმოდგენილია შეფასების როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი რუბრიკები, მოსწავლეების შემოქმედებითი დავალებების და შემაჯამებელი წერის ნიმუშები, და შედეგების ანალიზი და მასწავლებელთა რეფლექსიები)</p> <p>რჩევა:</p> <p>მიუხედავად წარმოდგენილი (ზემოთ აღნიშნული) შეფასების რუბრიკებისა, ზოგიერთი რუბრიკა ზოგადია, მაგალითად: განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, სასურველია გადაიხედოს რომ შეესაბამებოდეს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს, რომ გამორიცხოს სუბიექტური/ შემთხვევითი ფაქტების გავლენა.</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</p>
<p>სპორტი</p>	<p>პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან---კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება</p>



	<p>სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე ზოგიერთი განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას (მე-5, მე-6 კლასებში განმსაზღვრელს) ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, დაინტერესების შემთხვევაში კი მასწავლებლების მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება მშობელსაც. ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.</p>

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ნათელს უხსნის გვიქმნის იმისას, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა მტკიცედ ეფუძვნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) ვალიდურობას;
- ბ) სანდოობას;
- გ) გამჭვირვალობას;
- დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირნი (კათედრის ხელმძღვანელები, კათედრის წევრები, წამყვანი მასწავლებელი და დირექციის წევრები), რომლებსაც ევალებათ აღნიშნული პროცესების მართვა/კონტროლი.



ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლას ქვეს კაბინეტური სისტემა თითოეული კათედრისა თუ საგნის დონეზე (ხელოვნების, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის კაბინეტი და ა.შ), რაც იძლევა საშუალებას სკოლამ შეინახოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები საჭირო ვადით.

ინდიკატორი 2.2.1..5. დაკმაყოფილებულია.

.დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ☐ შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია;
- ☐ ფოტო მასალა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები და შესაბამისი ბრძანებები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრების ოქმები და დებულება;
- დიაგნოსტიკური წერისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- მშობელთა ანონიმური კითხვარები და შეხვედრის აქტები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- ხარისხის ჯგუფის დებულება და ბრძანება;
- სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ბმულები/ფოტომასალა;



- არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კლუბების ბმულები, სიგელები, თოჯინების თეატრის ფოტოები)
- შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები, რეფლექსიები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- კათედრის სხდომის ოქმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>კურიკულუმში გაწერილი ძირითადი რესურსი (სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, ანიმაციები იძლევა სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გამოიყენება სხვადასხვა მატერიალური რესურსი, მაგალითად: ტაბულები და მარტივი საშინაო ექსპერიმენტებისთვის საჭირო საშუალებები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების სურვილების გათვალისწინებით იყენებენ ყველა დამხმარე რესურსს, რაც მისცემს მათ საშუალებას აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



<p>უცხოური ენები</p>	<p>სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში ინტეგრირებული ძირითადი და დამხმარე რესურსები ვალიდურია და სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. შერჩეული მასალები (ტექსტური, აუდიო-ვიზუალური, ციფრული) ეფექტურად უწყობს ხელს უცხოურ ენაში კომპეტენციების განვითარებასა და მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას.</p> <p>რჩევა: მიზანშეწონილია ციფრული პლატფორმებისა და ინტერაქტიული რესურსების შემდგომი გაფართოება, რაც კიდევ უფრო წახალისებს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და ენობრივი უნარების პრაქტიკულ გამოყენებას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სამივე საფეხურზე კათედრაზე ეფექტურად იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ მრავალფეროვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო შინაარსის - სასწავლო რესურსს (ელ. რესურსები, ბმულები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები) . გარდა სამინისტროს მიერ მოწოდებული ციფრული რესურსებისა, მასწავლებლები თავადაც ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსებს და აქტიურად იყენებენ მიზნის მისაღწევად.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს და სხვ.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>სასწავლო პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით, უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების, რომლებიც კოლაბორაციაშია სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ძირითად რესურსებთან ერთად, როგორცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე გამოიყენება დამხმარე საშუალებები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება. ონლაინრესურსები და ტელესკოლის გაკვეთილები.</p>



	<p>რჩევა: სასურველია გაამდიდროთ ზოგიერთი კლასის დამხმარე რესურსთა სია. მაგ: საშუალო საფეხურზე რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული. ინდიკატორი შესაბამისობაშია.</p>
<p>სპორტი</p>	<p>პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურებრივ შედეგზე გაყვანას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან---კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში; ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.</p>

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას



<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსებად გამოყენებულია სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური საშუალებები, რომლებიც შეესაბამება შესასწავლ საკითხსა და მიზანს. ინტერვიუზე გამოიკვეთა რომ, კურიკულუმში შეტანილი სასწავლო რესურსის ვალიდაციას ახორციელებს კათედრა.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>სკოლის კურიკულუმებიდან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და არჩევენ სტანდარტების დაცვით, მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ სასწავლო რესურსებს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>სამივე საფეხურზე დამხმარე რესურსები შერჩეულია კვალიფიციური კადრის, პედაგოგების აქტიური ჩართულობით, თითოეული საფეხურისა და ენის დონის სპეციფიკის გათვალისწინებით და სკოლაში მიზნობრივად გამოიყენება.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სამივე საფეხურზე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია არსებული და შექმნილი დამხმარე რესურსების ვალიდაცია. ისინი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. პედაგოგების მაღალი კომპეტენცია და სტრატეგიების ფლობის დონე, უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით.</p>



	<p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოების, თვალსაჩინოებების, ონლაინრესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მათემატიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს.</p> <p>რჩევა:</p> <p>იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.</p> <p>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</p>
<p>სპორტი</p>	<p>გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დაწყებით საფეხურზე, საგან--კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რადგან კურიკულუმები განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია.</p>



	<p>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.</p> <p>რჩევა:</p> <p>სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები სასწავლო წლის დაწყებისას საგნობრივი კათედრის ოქმშიც იყოს დანართის სახით წარმოდგენილი.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.</p> <p>ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.</p>

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტის სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტის სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება ____ ან ნაკლები მოსწავლით.

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის შესაბამისი რესურსი. წარმოდგენილი რესურსები მწირია და ვერ უზრუნველყოფს ესგ -თი განსაზღვრული შედეგების მიღწევას.</p> <p>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია</p>
--	--



<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ საკითხთა კლასტერები, რომლებზეც განახორციელებენ შემოქმედებით დავალებებს. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს შემოქმედებითი დავალების განხორციელების დროს იყენებენ ყველა იმ რესურს რაც არის სკოლაში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. არსებული ბაზა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, მოსწავლეთა მაღალ ჩართულობასა და უცხოური ენების ათვისების ოპტიმალურ პირობებს.</p> <p>რჩევა: მიზანშეწონილია მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების შენარჩუნება და მათი პერიოდული განახლება ციფრული თუ ვიზუალური მასალით, ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ სკოლაში და კათედრაზე არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ციფრული რესურსები, ილუსტრაციები და სხვა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა თავის მხრივ საშუალებას აძლევს პედაგოგებს აქტიურად და ეფექტურად მიმართონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითხავი თუ ციფრული მასალა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით.</p>



	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის სრული გათვალისწინებით, რაც ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. სწავლა სწავლების პროცესის ხელშესაწყობად სასკოლო სივრცე, აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური რესურსებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ყველა კლასი სარგებლობს კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა მოსწავლეები ასევე იყენებენ ბუკებს სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად სხვა საგნებში. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი



სკოლაში ჯერ კიდევ მუშაობს ორი პრაქტიკოსი მასწავლებელი დაწყებით საფეხურზე: სპორტში და მე და საზოგადოებაში. სკოლამ სცადა ამ საკითხის მოგვარება, უნდა გამოცხადებული კონკურსი. ვაკანსია განთავსებული შესაბამის საიტზე, მაგრამ კონკურსი ჩაიშალა, რადგან არ აღმოჩნდა მაღალმთიან რაიონში დასაქმების მსურველი. სკოლას აღნიშნული პრობლემის მოგვარებას გეგმავს 2027 წლისთვის და გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. სკოლაში არსებული დასაქმებულთა პირადი საქმეები, ისევე როგორც e-school-ის ბაზა ცხადყოფს, რომ სკოლას ძირითადად ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორი 2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- რემედიაციის პროგრამა.
- დასაქმებულთა პირადი საქმე,
- E-school-ის ბაზა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები და შესაბამისი ბრძანებები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრების ოქმები და დებულება;
- დიაგნოსტიკური წერისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- მშობელთა ანონიმური კითხვარები და შეხვედრის აქტები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- ხარისხის ჯგუფის დებულება და ბრძანება;



- სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ბმულები/ფოტომასალა;
- არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კლუბების ბმულები, სიგელები, თოჯინების თეატრის ფოტოები)
- შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები, რეფლექსიები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია.
- კათედრის სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა აწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას, ისე როგორც ეს აღწერილია მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. კათედრების მიერ შემუშავებულ სასწავლო წლიურ პროგრამას მონიტორინგს უწევს თავად საგნის პედაგოგი-სადიაგნოსტიკო წერებისა თუ შემაჯამებელი დავალებების SWOT ანალიზებისგან მიღებული მიგნებების საფუძველზე; სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები კი ურთიერთ დასწრებისა და ერთმანეთთან სასწავლო პროცესის განხილვაზე დაყრდნობით ახდენენ კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მრავალმხრივი მეთოდებით (სადიაგნოსტიკო წერები, საგაკვეთილო პროცესისას მასწავლებლების ჩანიშვნები თითოეულ მოსწავლეზე, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა თუ არაფორმალური განათლებისას მოგროვებული ინფორმაცია/მონაცემები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება და ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის სასწავლო პროგრამა-საგნობრივ კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მასწავლებელთა ინტერვიუებმა, ისევე როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, მოგვცა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ მომხდარიყო სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. საგნის პედაგოგების მიერ წარმოდგენილმა შემაჯამებელი დავალებების ანალიზმა და ინტერვიუებმა გვიჩვენა, რომ დიაგნოსტიკის შედეგად მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და მიგნებების შესაბამისად განახლდა სასწავლო პროგრამა, რათა მოხდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;
- სადიაგნოსტიკო დავალებების ნიმუშები;
- ფოტო-მაასალა;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური-სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, როგორცაა სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეობრივი/კლუბური მუშაობები (STEM კლუბი, ეკოკლუბი). მათგან მიღებული მონაცემები კი იძლევა მოსწავლეთა განვითარების გზის ასახვას მრავალი კუთხით.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტზე დაყრდნობით. მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს, როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო თუ სპორტული მიმართულებით. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის



პროექტები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, გათვალისწინებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევის მიზნით ალტერნატიული გზების შეთავაზება/რემედიაცია.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. საგნობრივ სასკოლო პროგრამაში-საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდგომები, რადგან გვხვდება დიფერენცირებული სასწავლო პროექტებიც/კომპლექსური დავალებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა კი შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში ახდენს მოსწავლეთა დიაგნოსტიკას. რაც გულისხმობს ტესტური დავალებების საფუძველზე მოსწავლეთა ცოდნა-უნარების შესწავლას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის წლიური სასწავლო პროგრამის-კურიკულუმის განახლებას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს, როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას.

ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხორციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ

უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიუებისას სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი ანაალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ☐ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ☐ საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმები;
- ☐ პროექტული დავალებების ამსახველი გეგმები, ფოტო მასალა;
- ☐ სკოლის facebook- გვერდი;
- ☐ წლიური სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

<p>დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა</p>	<p>საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა</p>	<p>საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა</p>
---	--	---



<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
---	---	---

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. მასწავლებლები, დირექციის, ხარისხის განვითარების ჯგუფი და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის გაანალიზების შედეგადაც უკვე იხვეწება განვლილი სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში) შექმნილი საგნობრივი წლიური პროგრამა- საგნობრივი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში; თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებებში მოაზრებული აქტივობების მოსწავლეთა განვითარების უახლოეს დონესთან შესაბამისობა და სხვა. იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ასევე იგეგმება რემედიაციისათვის სჭირო პროგრამა.



ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი წლიური პროგრამები/საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- რემედიაციისათვის შექმნილი პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 15.04.26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნ.კაცაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ. თურმანიძე

დ. თურმანიძე

ს. თავაძე

ს. თავაძე

ე. ნაკაიძე

ე. ნაკაიძე

მ. ჩიტაძე

მ. ჩიტაძე



მ. ხუციშვილი

თ.ჯაფარიძე

ნელი ტეტუნაშვილი

მინდია მაცაბერიძე

თამარ მურუსიძე

ნინო ბერიშვილი